

„ივ. ჯავახიშვილი – პირველი ქართული უნივერსიტეტის დამაარსებელი“

მონაწილე: უბუნტუ14 - ოთარ ბენდელიანი

წინამართან გასროლილ ტყვიას, მტრის რწმენით, ილიასთან ერთად უნდა მოეკლა ეროვნული აღორძინების იდეა და ერის გადარჩენის იმედი, მაგრამ ივანე ჯავახიშვილმა ჩაიბარა ილიას მემკვიდრეობა და საკუთარი მხრებით გასწია ქართული აზრის გუთანში. გაისიგრძეგანა ერისა და ბერის დარაზმვის მოვალეობა საშვილიშვილო საქმის სისრულეში მოსაყვანად და ქართული უნივერსიტეტის შექმნით ეროვნული ცნობიერების მქონე გენოფონდის ჩამოყალიბების აუცილებლობა, რომელიც ჰაერით ესაჭიროებოდა ახლად შემდგარ დამოუკიდებელ სახელმწიფოს. რუსული ცარიზმის მიერ მრავალგზის ძირშივე ჩაკლულ უმაღლესი ქართული საგანმანათლებლო დაწესებულების შექმნის გეგმას ივანე ჯავახიშვილმა თავიდან ჩაჰბერა სული და იმდროინდელი გეოპოლიტიკური მდგომარეობის პრაგმატულად შეფასების შემდეგ „უნივერსიტეტს მიზნად დაუსახა: ერისა და ქვეყნის აღორძინება, სახელმწიფოებრივი მიზნები და სამშობლოს წინაშე დიდი პასუხისმგებლობა დააკისრა“.

საკვირველია, როგორ შეძლო ივანე ჯავახიშვილმა ქვეყნის პოლიტიკურ–ეკონომიკური ძნელბედობის მიუხედავად ხალხის ღრმა ნატვრის ასრულება, უნივერსიტეტის გახსნა? –ჯერ კიდევ სიყრმიდანვე „ვანოს სულს უხუთავდა გარუსების ტენდენცია და ქართული კულტურის დევნა“, სწორედ ამიტომ იგი პეტერბურგის უნივერსიტეტში სწავლისას ხელმძღვანელობდა ქართული კულტურის შელახული პოზიციების აღდგენისათვის მებრძოლ ქართველ სათვისტომოს, ივანე მარცვალ–მარცვალ კრეფდა ძველ ქართულ ხელნაწერებს და საფუძველს უყრიდა ახალ ქართულ ისტორიოგრაფიას, რომელიც საქართველოში უმაღლესი ეროვნული სკოლის საძირკველი უნდა გამხდარიყო. ივანე ჯავახიშვილმა შეძლო, განექარწყლა საქართველოში მეცნიერი ინტელიგენციის არარსებობასთან დაკავშირებით მოსაზრება და რუსეთის სხვადასხვა საუნივერსიტეტო ქალაქში ანკეტების დაგზავნით განესაზღვრა ის სამეცნიერო პოტენციალი, რომელსაც უნდა დაყრდნობოდა ქართული უნივერსიტეტი. ჯავახიშვილმა შემოიკრიბა გამორჩეული თანამოაზრეები: შალვა ნუცუბიძე, აკაკი შანიძე, იოსებ ყიფშიძე, თქვა: „–დაყოვნება დაუშვებელიაო!“, მოიწვია პროფესორთა კოლეგიალური სხდომა და როდესაც რექტორის არჩევის მომენტი დადგა, სხდომის წევრებისათვის სასურველმა რექტორმა, ივანე ჯავახიშვილმა, სიტყვა მოითხოვა: „–პეტრე მელიქიშვილი ცნობილი მეცნიერია და მისი არჩევა დიდ პრესტიჟს შეუქმნის ჩვენს უნივერსიტეტს...“ – ეროვნულ ფასეულობებზე გადაგებულმა ბატონმა ივანემ უნივერსიტეტის ღირსება მიიჩნია უფრო

ფასეულად, და 1918 წლის 26 იანვარს, დავით აღმაშენებლის ხსენების დღეს, ქართველმა საზოგადოებამ უნივერსიტეტის გახსნა იზეიმა.

ივანე ჯავახიშვილი მე–20 საუკუნის აღმაშენებლად იქცა. უნივერსიტეტის დაარსებით მან გადაარჩინა ქართული ენა, თვითმყოფადობა, ისტორია, მყარი საძირკველი შეუქმნა საქართველოს მომავალს, შთაგვაგონა: „...როცა სამშობლოს უჭირს, ყველა ღონე უნდა ვიხმაროთ დასაცავად“.

ივანე ჯავახიშვილის სახელობის დედაუნივერსიტეტი დღესაც უშრეტი განათლებისა და ეროვნული ღირებულებების კერაა ქართული გენის სამარადისოდ.